უცხო ენებში ზეპირი გასაუბრების

შეფასების კრიტერიუმები:

მაქსიმალური შეფასება - 100 ქულა

გამსვლელი ქულა - 51-100

შეკითხვების რაოდენობა - 10

თითოეული კითხვა ფასდება 10 ქულით შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

9-10 ქულა: პასუხი სრულია, საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს B1 დონით გათვალისწინებულ ლექსიკურ მასალას, პასუხი ლოგიკურია და ზუსტად პასუხობს დასმულ შეკითხვას; თანმიმდევრულად გადმოსცემს ინფორმაციას; იცავს დროის ლიმიტს

7-8 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი, არ უშვებს არსებით შეცდომებს, კარგად ფლობს B1 დონით გათვალისწინებულ ლექსიკურ მასალას, იყენებს გრამატიკულ კონსტრუქციებს და ენობრივ ფორმებს, შეუძლია აზრის ლოგიკურად ფორმულირება, თუმცა ნაწილობრივ იცავს დროის ლიმიტს

5-6 ქულა: პასუხი არასრულია, საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული, აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები, იყენებს მწირ ლექსიკას, პასუხი ლოგიკურად გაუმართავია.

3-4 ქულა პასუხი არასრულია; მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ და არალოგიკურად, აღინიშნება რამოდენიმე არსებითი შეცდომა; დროის ლიმიტი არ არის დაცული, ვერ იყენებს სწორად გრამატიკულ კონსტრუქციებს, მაგრამ იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით.

1-2 ქულა: პასუხი ნაკლოვანია, B1 დონით გათვალისწინებული ლექსიკური მასალა არ არის გამოყენებული; პასუხი არსებითად მცდარია და არალოგიკური, საკითხი გადმოცემულია ფრაგმენტულად, გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები მრავლად შეინიშნება.

0 ქულა: პასუხი არ შეესაბამება დასმულ შეკითხვას ან სტუდენტი არ პასუხობს შეკითხვას.